პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲚᲔᲚᲝ

№ 180 (3157)

15 1966 წ. სექტემბერი. ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ჩვენ მამა რესპუბლიკებში

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აგვისტოს დადგენილებამ ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების პროგრამა დასახა. ეს არის ჯანმრთელობის პროგრამა საბჭოთა ადამიანებისა, რომელთა ყოფაშიც სულ უფრო მკვიდრად იკიდებს ფეხს ფიზკულტურა. ამ გადაწყვეტილებათა მიღების დღიდან არც ისე დიდი დროა გასული. მაგრამ უკვე ყოველდღიურად ვღებულობთ ახალ-ახალ სასიხარულო ცნობებს სპორტული მშენებლობების, ბავშვთა სპორტული სკოლების გახსნის, სპორტული იარაღის სიახლეთა შესახებ. ყოველივე ამაზე გვიამბობენ საკავშირო კორესპონდენტები.

● ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ — ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐᲡ

ყაზახეთის დედაქალაქში გაიხსნა ბავშვთა რესპუბლიკური სპორტული სკოლა, სადაც 30-ზე მეტ სახეობაში იმეცადინებს 400 ნიჭიერი ნორჩი ფიზკულტურელი. მათ განკარგულებაშია ალმა-ათისა და ყაზახეთის სხვა ქალაქების საუკეთესო სპორტული ნაგებობები. ამ სკოლის ფილიალები შეიქმნა რესპუბლიკის სხვადასხვა სოლქო ცენტრშიც.

სპორტული სკოლა მეთოდურ დახმარებას გაუწევს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსაც.

ამასთან, უსტ-კამენოგორსკის, ყარაგანდისა და ჩიმკენტის სკოლა-ინტერნატებში გაიხსნა სპეციალური კლასები. ამ კლასებში ბავშვები სრულყოფენ ოსტატობას სპორტის ერთ რომელსამე სახეობაში.

უ. კაიმირასოვი.

ალმა-ათა.

● ᲞᲜᲔᲕᲛᲐᲢᲣᲠᲘ „ᲤᲘᲚᲗᲐ“

იჟევსკის მექანიკურ ქარხანაში გამოცადეს პნევმატური „მიკროკალიბრიანი“ თოფი „იჟ-22“.

საუკეთესო „საბრძოლო“ თვისებებთან ერთად, იგი ძალზე მოხდენილიცაა. თოფის კონდახი მსუბუქი პლასტიკური მასალისგან არის დამზადებული. კონსტრუქტორები, რომელთაც ნ. იზმეტინსკი ხელმძღვანელობს, ფიქრობენ, რომ ბევრი დამწყები სპორტსმენი, — მსროლელი და მონადირე, უკვე წლეულს მიიღებს ამ თოფს, გაისად კი მისი მასობრივი გამოშვება დაიწყება.

ლ. დანილოვი.

იჟევსკი.

● ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ

„პირამიდას“, რომელიც, შეიძლება ითქვას, ფეხბურთელთა ყველაზე ჩრდილო გუნდია დედამიწის ზურგზე, ეს რამდენიმე წელია თითქმის არც ერთი მატჩი არ წაუგია.

„პირამიდა“ ჰქვია ერთ-ერთ მაღაროს შპიცბერგენის არქიპელაგზე, ბარენცის ზღვაში, საკმაოდ შორს პოლარული წრიდან. იქაური ფეხბურთელები რეგულარულად ატარებენ შეხვედრებს იმ გემების გუნდებთან, რომლებიც მრავლად მიდიან შპიცბერგენზე. ხვდებიან ბარენცბურგის საბჭოთა მემაღაროელებსაც.

სპორტი მათი საუკეთესო მეგობარია.

მემაღაროელებს აქვთ ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭიდაობის, ძალოსნობის, ცურვის, სროლის, ტურიზმის, მოთხილამურეთა, ჰოკეის სექციები. „პირამიდის“ მოჭადრაკეებმა ახლახან გამართეს ტრადიციული ტურნირი რადიოთი ბარენცბურგის მაღაროელებთან ოთხ დაფაზე და მოიგეს კიდეც.

მემაღაროელმა-ჰოკეისტებმა უკვე გახსნეს ზამთრის სეზონი.

ამჟამად არქტიკულ დასახლებაში სპორტული კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს.

ვ. ზასუხინი.

ბარენცბურგი.

ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ...

◆ **ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 14 სექტემბერი.** აქ გამართულ საერთაშორისო ველორბოლაზე ნოვა გორიცეს ფინიშთან ერთდროულად 10 ველოსიპედისტი მივიდა, მაგრამ გამარჯვება მიენიჭა ჩეხოსლოვაკიელ დ. გრაცს. 10 ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში წინ არიან იუგოსლავიელები რ. ვალენჩიჩი (38:00,33), რ. კუბრიჩი (38:00,41) და ც. ბილიჩი (38:01,32). გუნდურ პირველობასაც მასპინძლები ინარჩუნებენ.

◆ **ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲑᲝᲠᲒᲘ,** 14 სექტემბერი. **შვეიცის ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე კენიელი კ. კეინო შეეცადა მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას 5000 მეტრზე რბენაში, მაგრამ ამაოდ. მან აჩვენა მხოლოდ 13.43,6.**

◆ ᲑᲘᲓᲒᲝᲨᲩᲘ. 14 სექტემბერი. 100 მეტრის გარბენას 11,2 წამი მოანდომა ევროპის ჩემპიონმა ევა კლობუკოვსკამ. ეს მოხდა პოლონელ მძლეოსანთა ჩემპიონატზე. კლობუკოვსკას შედეგი 0,1 წამით უარესია მსოფლიო რეკორდზე. ეს სპორტსმენი I იყო 200 მეტრზე რბენაშიც — 23,5. სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა ე. ჩერნიკმა — 210 სმ.





ᲙᲝᲠᲢᲘ ᲗᲕᲚᲘᲗ

სულ ახლახან თბილისელი მაყურებელი თვალწარმტაცი ბრძოლების მოწმე იყო. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 80-ზე მეტი სპორტსმენი თბილისის ზღვაზე სსრ კავშირის ჩემპიონობას ეცილებოდა საწყლოსნოსათხილამურო სპორტში. მათ შორის იყვნენ ქართველი სპორტსმენებიც. შ. ცნობილაძე, დაშავებული ფეხი რომ არა, გაცილებით უკეთესი ადგილისთვის იბრძოლებდა, მაგრამ მისი IX ადგილიც, საკმაო წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — სტარტის მოლოდინში; მარჯვნივ — შ. ცნობილაძე ახპარეზობის წინ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

Ს. ᲡᲐᲠᲮᲝᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘ

ახლახან [illegible] „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ — [illegible] ჩოგბურთში. ქალთა გუნდებში პირველობა მოიპოვეს მოსკოველებმა, ვაჟებში — სომხეთის წარმომადგენლებმა. საერთო-გუნდურ ჩათვლაში I ადგილი ერგოთ მოსკოველებს.

პირად ასპარეზობაში იმარჯვა ბაქოელმა რ. პოლოსოვამ. იგი პირველი იყო ერთეულებში, ქალთა წყვილებსა (უკრაინელ რ. პავლენკოსთან ერთად) და შერეულ წყვილებში (ს. სარხოიანთან ერთად).

ვაჟთა ერთეულებში I ადგილზე გავიდა ს. გომოზკოვი (მოსკოვი). II ადგილზე საქართველოს წარმომადგენელი ს. სარხოიანი.

ვაჟთა წყვილებში „სპარტაკის“ ჩემპიონები გახდნენ ს. გომოზკოვი და ს. სარხოიანი.

ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲓᲐᲜ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 13 სექტემბერი. აქ მიმდინარე ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე გადაწყდა საერთაშორისო ფედერაციის წევრებად მიიღონ ბოლივიის, გვიანის და ვორგინის კუნძულების ფედერაციები. ახლა ეს ორგანიზაცია 96 წევრს ითვლის.

ფრენბურთელ ქალთა გუნდების წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის თაობაზე ასე გადაწყვიტეს: თუ 15 ოქტომბრამდე რომელიმე ქვეყანა არ გამოთქვამს ამ შეჯიბრების გამართვის სურვილს, საერთაშორისო ფედერაცია სთხოვს თურქეთის ეროვნულ ფედერაციას ევროპის ჩემპიონატი, რომლის ჩატარება ამ ქვეყანაშია განზრახული, მსოფლიოს ჩემპიონატადაც ჩათვალოს (ეს ასპარეზობა გაიმართება 1967 წლის აგვისტო-სექტემბერში). გამარჯვებულს გადაეცემა შედლების 2 კომპლექტი.

კონგრესმა დაადგინა, რომ მსოფლიო თასის გათამაშება ვაჟთა გუნდებისთვის ჩატარდეს 1969 წელს გდრ-ში. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 12 ქვეყანა. გაიმართა, აგრეთვე, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს პოლლიბო (საფრანგეთი), ვიცე-პრეზიდენტად — სსრ კავშირის ფრენბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ვ. სავინი.

ᲚᲔᲯᲓᲕᲘᲡᲘ ᲙᲕᲘᲡᲙᲝᲜᲯᲘᲡᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲙᲐᲭᲘᲡᲘ

● გაიმართა ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდების მორიგი მატჩები. ქვემოთ მოგვყავს შეხვედრების შედეგები: „ლერნაგორცი“ (კაფანი) — „ურალანი“ (ელისტა) 3:0, „არაქსი“ (ერევანი) — „ეროჟაი“ (მაიკოპი) 1:0, „ლორი“ (კიროვაკანი) — „ეროჟაი“ (კრასკი) 1:1, „სევანი“ (ოქტემბერიანი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 1:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „დინამო“ (მახჩალა) 3:1, „მეშახტე“ (ტყიბული) — „მაშინოსტროიტელი“ (პიატიგორსკი) 2:1.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

„ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲐ ᲡᲝᲕᲔᲢᲝᲕᲘ“ — I ᲯᲒᲣᲤᲘ

გათამაშების ცხრილი

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ

მდგომარეობა 15 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	25	17	7	1	52—12	41
„ტორპედო“ (მოსკოვი)	26	13	7	6	43—25	33
ცსკა	23	13	6	4	51—30	32
ასკ (როსტოვი)	25	14	2	9	40—37	30
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	23	11	7	5	33—27	29
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	23	8	12	3	24—16	28
„ნეფტიანიკი“ (ბაკო)	25	10	7	8	32—21	27
„დინამო“ (მოსკოვი)	24	9	7	8	34—26	25
„დინამო“ (მინსკი)	24	8	8	8	24—26	24
„დინამო“ (თბილისი)	24	7	9	8	26—25	23
„კაირატი“ (ალმა-ათა)	22	9	5	8	21—22	23
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	25	9	5	11	30—39	23
„შახტიორი“ (დონეცკი)	23	8	4	11	23—30	20
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	25	5	10	10	21—30	20
„არარატი“ (ერევანი)	25	6	8	11	18—36	20
„ტორპედო“ (ქუთაისი)	24	7	4	13	31—43	18
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	23	3	10	10	15—32	16
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	23	5	4	14	17—33	14
ასკ (ოდესა)	24	1	8	15	11—36	10

* * *

გუშინ მოსკოვში, სსრ კავშირის პირველობის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“. გაიმარჯვეს ავტოქარხნელებმა. — 3:0.

ახალგაზრდული პოლიზონტი

ახლახან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. სპორტს ძირითადად ახალგაზრდები მისდევენ და, ბუნებრივია, ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრაში კომკავშირმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს. აახ-ის კორესპონდენტმა სთხოვა საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეს ვლადიმერ კოვალს ეამბნა რა მონაწილეობას მიიღებს კომკავშირი ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის დასახული პროგრამის განხორციელებაში.

— მოდით, ამთავითვე შევთანხმდეთ, — თქვა კოვალმა, — რომ ყველაფერს, რასაც ახლა ვიტყვი, კატეგორიულ განცხადებად არ ჩამომართმევთ. ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ გეგმებს ვადგენთ, განვიხილავთ, ვკამათობთ. ბევრი რამ შესაძლოა შეიცვალოს, მით უმეტეს, რომ პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ სრულიად ახალი ეტაპი დასახა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში. სიახლე კი მუდამ განსაკუთრებულ დაფიქრებასა და მოკურობას მოითხოვს.

ამ დადგენილების მთავარი მიზანია სპორტში მასობრივად ჩაბას საბჭოთა ახალგაზრდობა — მოსწავლეები, სტუდენტები, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია. წარმოება-დაწესებულებები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები. სხვადასხვა სასწავლებლის კომკავშირულ ორგანიზაციებს შეუძლიათ და არც დაიშურებენ მონდომებას ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისთვის.

ამასთან, ჩნდება პრობლემები, რომელთაც, პირველ ყოვლისა, სწორედ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყურადღება სჭირდება.

ყველასთვის ცხადია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტულ ბაზებს. ჩვენ ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. ზოგ რესპუბლიკაში (უკრაინაში, ბელორუსიაში, ლიტველაში) კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებთან ერთად უკვე დაიწყეს გაცხოველებული მუშაობა, თუნდაც ელემენტარული სპორტული კომპლექსების შექმნისთვის სოფლად. ქალაქებში მეტია მშენებლობის გაშლის შესაძლებლობა და, ბუნებრივია, კომკავშირული ორგანიზაციებისგანაც მეტს მოვითხოვთ. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს იძლევა ორშა. აქ ყველა დაწესებულება, ყველა ორგანიზაცია უკვე შეუდგა ჩოგბურთის კორტების, სპორტდარბაზების, სტადიონების მშენებლობას. ჩვენ ფართო პროპაგანდას გავუწევთ ორშელთა გამოცდილებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სპორტული მშენებლობის პროექტები ორიგინალური, თანამედროვე სტილისა უნდა იყოს. ახლახან ჩვენ ამ საკითხზე ვეაუბრეთ სპეციალისტთა ჯგუფს და დავრწმუნდით, რომ ბევრი შეხვედრები და საუბრები, წამოჭრილი პრობლემების ერთად განხილვა და გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საერთო საქმის წარმატებას.

კომკავშრის ცენტრალურ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს უახლოეს ხანებში ჩაატაროს არქიტექტორთა თათბირი, გაარკვიოს, სახელდობრ რა გეგმები აქვთ მათ დადგენილების განხორციელებისთვის. ვფიქრობთ, მოეწყობა კონკურსი საუკეთესო პროექტისთვის. ამ კონკურსის პირობებს სხვა ორგანიზაციებთან ერთად შევიმუშავებთ.

● სპორტული მოძრაობის განვითარება დიდად არის დამოკიდებული მწვრთნელთა კადრების მომზადებაზე. ამ მხრივ რა მუშაობა შეიძლება ჩაატაროს კომკავშირმა?

— ახლა, როცა კიდევ იგრძნობა კვალიფიცირებული მწვრთნელების ნაკლებობა. ჩვენ შეგვიძლია საქმეში საზოგადოებრივ საწყისებზე ჩავაბათ კომკავშირული სპორტსმენები. მათ უკვე აქვთ ერთგვარი გამოცდილება. ამ ბოლო ხანებში ბევრგან, მაგალითად, მინსკის ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უკვე ჩამოაყალიბეს მეთოდისტების მოსამზადებელი კურსები. ეს მეთოდისტები უხელმძღვანელებენ სექციებს, მოაწყობენ და ჩაატარებენ შეჯიბრებებს.

კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ფიზკულტურის უმაღლესი სასწავლებლების კონტინგენტის დადგენაში. რა დასამალია, ზოგჯერ ინსტიტუტების ადმინისტრაცია, პირველ ყოვლისა, ყურადღებას აქცევს ამბიტურიენტის მიღწევებს სპორტში, მის საერთო განვითარებას, მორალურ თვისებებს, პედაგოგიური მუშაობისთვის საჭირო მონაცემებს კი არ დაგიდევთ. ეს ამბიტურიენტები კი 5 წლის თავზე მარტო მწვრთნელები კი არა, პირველ რიგში, ახალგაზრდების აღმზრდელები უნდა გახდნენ.

● თქვენ თქვით, „მწვრთნელი და აღმზრდელი“ და ამით შეეხეთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს ახალგაზრდა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაზე სპორტის დიდი გავლენის შესახებ. კომკავშირი, ალბათ, არც აქ დარჩება განზე?

— სრული სიმართლეა. როგორც ცნობილია, კომკავშირის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობას ახალგაზრდობის ყოველმხრივი აღზრდა შეადგენს. ეს განსაკუთრებით შეეხება მოზარდებს, რადგან ქუჩა ყველაზე მეტად სწორედ მათზე ახდენს გავლენას. როგორც მაგალითებით დადასტურდა, აღზრდის საუკეთესო ფორმაა ეზოსა და ქუჩის მოედნების საკავშირო შეჯიბრებები („ტყავის ბურთი“, „ოლიმპიური ფიფქი“, „ძალა და გრაციას“), რაც კომკავშირის თაოსნობით ტარდება. განსრახული გვაქვს კვლავაც გავზარდოთ ამგვარი შეჯიბრებების რიცხვი, მით უმეტეს, რომ ისინი უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ მოზარდთა შორის.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კლასგარეშე სპორტულ მუშაობას. ჩვენ ხშირად ვკამათობთ იმის თაობაზე, თუ სასეიდბრ სპორტის რომელი სახეობის პოპულარიზაცია ჯობს მოსწავლეებში — კოლექტიურისა (მაგალითად, ფრენბურთისა და ფეხბურთის), თუ ინდივიდუალურისა (მაგალითად, კრივი, ჭიდაობა). პირადად მე მიმაჩნია, რომ ბავშვებში უნდა დავნერგოთ ერთიცა და მეორეც. ეს სახეობები ერთნაირად უწყობს ხელს მოზარდის ხასიათის ჩამოყალიბებას, მის დისციპლინიანობას და თუ ნებავთ, — კეთილშობილებასაც. მე მხედველობაში მაქვს, თუნდაც, სპორტის ისეთი „რაინდული“ სახეობა, როგორიც ფარიკაობაა. რატომ არ უნდა შეიქმნას, მაგალითად, ფარიკაობის სექციები პირდაპირ საცხოვრებელ ადგილებზე? ხომ ცნობილია, რომ დარტანიანის სახელზე ყოველი ბავშვი ოცნებობს და ეზოში გაფფრენილ ორთაბრძოლას გაანადგურებს ხოლმე ჯოხებით? სხვათა შორის, როგორც კი დამთავრდა მოსკოვის მსოფლიოს პირველობა ფარიკაობაში, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში მოეწყო შეხვედრა ამ ასპარეზობაში გამარჯვებულ საბჭოთა მოფარიკაველებთან. ჩვენ სერიოზულად ვსაუბრობდით იმის თაობაზე, თუ რით შეუძლიათ მათ დაგვეხმარონ მოზარდი თაობის აღზრდის საპასუხისმგებლო საქმეში. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ჩემპიონები დიდი გულისყურით მოეკიდნენ ამ საკითხს. მსოფლიოს უძლიერესი მოფარიკავე გალინა გოროხოვა ამხანაგებთან ერთად ჩავიდა არტეკში, რომ ბავშვებს შეხვედროდა და მათთვის თანამედროვე მუშაკტერებზე ეამბნა.

ამასთან, ჩვენი მიზანი თავად სპორტსმენების აღზრდისთვის ზრუნვაც გახლავთ. ეს განსაკუთრებით მათ შეეხებათ, ვისაც ჯერ კიდევ ვერ დაუხსნია თავი „ვარსკვლავური“ ავადმყოფობისგან.

● ამ ბოლო ხანებში შეიმჩნევა, რომ უმაღლესი სასწავლებლების სპორტული ცხოვრება ერთგვარად მოდუნდა. მაგალითად, ამჟამად სტუდენტები სსრ კავშირის ნაკრები გუნდების წევრთა მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენენ. მათი მხოლოდ 50 პროცენტი უთმობს სპორტს სწავლისგან თავისუფალ დროს. რა ღონისძიებები გაქვთ განზრახული ამ მდგომარეობის გამოსწორებისთვის?

— კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალურ საბჭოსთან ერთად ფიქრობს და ამუშავებს წინადადებებს უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში სპორტული მუშაობის ორგანიზაციის, მისი შემდგომი განვითარებისთვის.

ეს გახლავთ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. მათ შესახებ ჯერ კიდევ უნდა ვიმსჯელოთ, შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს კიდეც. როგორც ჩანს, უნდა გაიზარდოს ფიზკულტურის საათების რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში. შესაძლოა დაისვას სტუდენტთა ნებაყოფლობითი საზოგადოებების რეორგანიზაციის საკითხი. აუცილებელია დამუშავდეს საქმიანობის მეტი გასაქანი და უფლება მიეცეთ კლუბებს თავად ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში.

დღემდე სამინისტროებისა და უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთი ხელმძღვანელი სპორტული ბაზების მშენებლობას მეორეხარისხოვან საქმედ თვლიდა იმ მოტივით, რომ მთავარი სწავლაა. სრული სიმართლეა, მაგრამ არც ახალგაზრდობის ფიზიკური განვითარება უნდა უგულებელყოთ. ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ სასწავლებლების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. მით უფრო, რომ მთავრობის დადგენილებამ მათ მისცა შესაძლებლობა მშენებლობისთვის გამოიყენონ იმ თანხის ნაწილი, რასაც სტუდენტები გამოიმუშავებენ საწარმო-დაწესებულებების დაკვეთების შესრულებისას. თუ სურვილი აქვთ, სტუდენტებს ყოველ უმაღლეს სასწავლებელში შეუძლიათ ააგონ ჩინებული დარბაზი, სტადიონი, მოაწყონ მოედნები. ეს ბევრგან უკვე გაკეთდა კიდეც. მაგალითად, ტარტუს უნივერსიტეტის სპორტული კომპლექსი, რომელიც სტუდენტებმა თავად ააგეს, ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში და აქ ვარჯიშობენ სსრ კავშირის ნაკრები გუნდების წევრებიც კი.

● თქვენ ლაპარაკობდით სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალურ საბჭოსთან ურთიერთობაზე. ალბათ, ეს ერთადერთი ორგანიზაცია როდია, რომელთან ერთადაც კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი განიხილავს პარტიისა და მთავრობის დადგენილებას ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შესახებ.

— რა თქმა უნდა, ამ ბოლო ხანს დავუკავშირდით, მაგალითად, ჩვენი ქვეყნის პროფესიული კავშირების ცენტრალურ საბჭოს, შევადგინეთ ერთობლივი ხამუშაო გეგმა ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდებს შორის ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარებისთვის. დაგისახელებთ მხოლოდ რამდენიმეს გათვალისწინებული ღონისძიებებიდან.

კომკავშირის საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა და პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ დიდი გეგმა დასახეს, — სპორტინვენტარის წარმოების ზრდიდან დაწყებული, ვიდრე ტურისტი მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის გათვალისწინებულ შეღავათებამდე. თუ კონკრეტულ ღონისძიებებზე მიდგა საქმე, გეტყვით, რომ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად ბევრ დაწესებულებაში, სასწავლებელსა და საწარმოში ჩატარდება მასობრივი შეჯიბრებები, პირველად გაიმართება დამეგრელური კომკავშირული მშენებლობების საკავშირო სპარტაკიადა.

განზრახული გვაქვს შეეკმნათ საკავშირო ტურისტულ - გამაჯანსაღებელი კომპლექსები და ახალგაზრდული ტურიზმის ზონები — სელიგერის ტბაზე ველინჯიკში, სევასტოპოლში და სხვაგან. დასრულდა უფროსკლასელთა, პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა და ნიზარდთა რესპუბლიკური, საოლქო და სამხარეო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების შექმნის საკითხი.

ერთი სიტყვით, დიდი და რთული მუშაობა გველის. მაგრამ ჩვენს წინაშე დასმული ამოცანის უდიდესი მნიშვნელობა კარგად გვესმის და, ცხადია, საქმეს მთელი მონდომებით შევუდგებით.

ჩვენი უახლოესი მიზანია (თუ „წმინდა“ სპორტზე ვილაპარაკებთ) — დავეხმაროთ სპორტულ ორგანიზაციებს იმ გუნდის მომზადებაში, რომელიც საბჭოთა სპორტს აპახელებს მუნიკოს ოლიმპიურ თამაშებში.

„განთიადის“ თბილისის საცურაო აუზში ხასოლო არდადეგების პერიოდში ასობით მოსწავლე დაეუფლა ცურვას. აქ ხიარული ნორჩებს არც სწავლის დაწყების შემდეგ შეუწყვეტიათ. ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში მომეცადინეთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. მათთან გულდასმით მუშაობენ მწვრთნელები — სპორტის ოსტატი ზ. გვასალია და პირველთანრიგოსანი რ. ზარიძე.

როგორც ცნობილია, წლევანდელ ზამთრის სეზონს აუზი თბილი წყლით შეხვდება. ამას წინათ საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დამტკიცა ბავშვთა და ჭაბუკთა ცურვის სპეციალიზებული სპორტსკოლის სტრუქტურა და ფინანსური ხარჯები. სკოლა, რომელიც ამ ხაცურაო აუზის ბაზაზე შეიქმნება, ოქტომბერში დაიწყებს მუშაობას და 250 ბავშვს მოემსახურება.

სურათზე: ზ. გვასალია ატარებს მორიგ მეცადინეობას.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

გეგმა კანონია

ვათავდა თუ არა მთებს შუა გაწოლილი გზა, მწვანეში ჩაფლული კორპუსებიც გამოჩნდა. სწორედ ეს იყო ყვერეთის სანატორიუმი, რომელსაც ახალმოწყობილი სპორტული მოედნების დასათვალიერებლად ვეწვიეთ. დამსვენებლები იმ დღეს ზეიმობდნენ ბაზის გახსნას...

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ საჩხერის რაიონში თითებზე ჩამოსათვლელი თუ იყო ფიზკულტურული მოედნები. ახლა კი რაიონის ცენტრსა და სოფლებს ათობით კეთილმოწყობილი სარბიელი ამშვენებს. ფიზკულტურული და სპორტ-მასობრივი საქმიანობა რომ ბაზებზეა დამოკიდებული, ამას დიდი მტკიცება არ უნდა. სწორედ ბაზების წყალობით მოიპოვა შარშან საჩხერის რაიონმა სასიხარულო მაჩვენებლები ნიშნოსან-თანრიგოსანთა მომზადების გეგმების შესრულებაში. მიმდინარე წლისთვის მათ ახალი, გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს. რაიონის 64 ფიზკულტურულ კოლექტივში (სულ ეს კოლექტივები 8684 წევრს აერთიანებს) დიდი მუშაობა გაჩაღდა ამ ვალდებულებათა განაღდებისათვის. ამას ადასტურებს საანგარიშო ბარათები, რომლითაც საჩხერელი ფიზკულტურელები რაიონის სპორტკავშირს 6 თვის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შედეგებს აცნობენ. სპორტკავშირის თავმჯდომარემ დ. გოშაძემ გვითხრა: გეგმა უყენესთვის კანონია და ჩვენი რაიონის ფიზკულტურულ კოლექტივებში დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმესო.

მდიდარია რაიონის სპორტღონისძიებათა კალენდარული გეგმა. ბევრი შეჯიბრება უკვე ჩატარდა. ნიშნოსან-თანრიგოსანთა მომზადების წლიური გეგმა დღეისთვის 95 პროცენტითაა შესრულებული.

ამ საქმეში თავი გამოიჩინეს განათლების განყოფილების სპორტსკოლამ, არგვეთის და ჩიხის საშუალო სკოლებმა, სავანის, ჩიხის და საირხის კოლმეურნეობების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. კომკავშირის რაიკომმა ამ კოლექტივების წევრები სპორტული ფორმით დააჯილდოვა.

შაგრამ აქვე უნდა ითქვას, რაიონში ჯერ კიდევ არის ისეთი კოლექტივები, რატომღაც არსებულ შესაძლებლობებს ნაკლებად რომ იყენებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა ვუსაყვედუროთ საჩხერის № 1 და № 2 საშუალო სკოლებს. მათი ბაზები სანიმუშოა მთელს რაიონში, საქმით კი ეს სკოლები ჩამორჩებიან. სოფელ ჯალაურთის ახალი სკოლის სპორტული დარბაზი გამოუყენებელია იმიტომ, რომ შიგ წყალი დგება და ამ საკითხის მოგვარება დღემდე ვერ მოხერხდა.

მრავალი ღონისძიება ტარდება ფიზკულტურისა და სპორტის პოპულარიზაციისთვის. მაგალითად, რაიონში უკვე რამდენჯერმე გაიმართა ასპარეზობა ველოსპორტში, მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ფეხბურთსა და კალათბურთში.

ეს წარმატება საქმის მოყვარული, გულმოდგინე მუშაკების გარჯის შედეგია. ასეთები კი რაიონში ბევრნი არიან. დავასახელებთ რამდენიმეს: გ. მაჭავარიანს, ე. ფანჩულიძეს, ა. მაჭავარიანს, მ. გოგატიშვილს, კ. თუმანიძეს.

საჩხერელ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს გადაწყვეტილი აქვთ საამაყო მაჩვენებლებით დაამთავრონ წლევანდელი წელიც.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

საჩხერე.



სურათზე: საქართველოს ჩემპიონი ველოსპორტში ა. ჯლარავა ფინიშთან.

ფოტო ბ. ქვარიანისა.



რითმი...

ფოტოეტიუდი ბ. ქვათაძისა.

ფეხბურთი ვიკვირველთა

ᲥᲐᲢᲩᲘᲜᲒᲘ, ᲒᲝᲚᲘᲜᲒᲘ, ᲥᲐᲢᲝᲛᲩᲘᲜᲒᲘ

13 სექტემბერს, მოსკოვში, ლენინგრადში, მინსკსა და ოდესაში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

„დინამო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ 1:1 (1:1). ბურთები გაიტანეს: მე-14 წუთზე ევსეევკომ („შახტიორი“), 41-ე წუთზე მასლოვმა („დინამო“). მოსკოველთა კარს მიმდინარე სეზონში პირველად იცავდა ლ. იაშინი.

„ზენიტი“ — ცსკა 0:1 (0:1). ერთადერთი გატანილი ბურთის ავტორია პოლიაკოვი (21-ე წ.). მატჩს ესწრებოდა სსრ კავშირში სტუმრად მყოფი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ს. როუზი.

„დინამო“ (მინსკი) — „ქაირატი“ 1:0 (0:0). 87-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ბურთი გაიტანა ადამოვმა. საინტერესოა, რომ მთელი თამაშის მანძილზე მასპინძლებმა 14 კუთხური ჩამოაწოდეს, სტუმრებმა კი, მხოლოდ 1.

„ჩერნომორეცი“ — „პახტაკორი“ 1:1 (1:0). ბურთები გაიტანეს: 43-ე წუთზე ოდესელმა მოსკალენკომ (11-მეტრიანი საჯარიმოდან), 62-ე წუთზე კი — აბდურაიმოვმა.

„Ჯ“ ᲙᲚᲐᲡᲘ IᲯᲒᲣᲤᲘ

მასპინძელთა წარმატებით

ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ გაიმართა „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის მატჩები. აი, რას გვატყობინებენ ჩვენი კორესპონდენტები:

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘᲐ „მეტალურგმა“ მიიღო დერბენტის „უროჟაი“. ინიციატივა თავიდანვე მასპინძლებმა იგდეს ხელთ. ისინი უფრო სწრაფად და მონდომებით წარმართავდნენ ომრიშს. მე-15 წუთზე ერთ-ერთი შეტევა დავითუღლიანმა მეტოქის კარში ზუსტი დარტყმით დასრულა.

შესვენების შემდეგ გააქტიურდნენ სტუმრები, რომლებმაც 58-ე წუთზე ანგარიშიც კი გათანაბრეს — 1:1. ამ წარუმატებლობამ რუსთავის გუნდი თითქოს გამოაფხიზლა. ნახევარმცველთა და მცველთა აქტიური მხარდაჭერით თავდამსხმელები მედგრად ეკვეთნენ „უროჟაის“ კარის მისადგომებს და იმავე დავითუღლიანმა ანგარიში ორამდე გაზარდა. დარჩენილ დროში კოპიაშვილმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა. ამრიგად, ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „მეტალურგმა“.

Გ. ᲯᲝᲒᲚᲘᲫᲔ.

◆

ᲒᲝᲠᲘᲓᲐᲜ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ადგილობრივ გულშემატკივრებს დიდი ხანია არ უნახავთ ასეთი საინტერესო და ვიმზიდველი თამაში. საქმე მარტო ის კი არ გახლავთ, რომ მასპინძლებმა — „დილის“ ფეხბურთელებმა დაამარცხეს ზონის ერთპიროვნული ლიდერი — ორჯონიკიძის „სპარტაკი“, არამედ ისიც, რომ მინდორზე გაჩაღდა უაღრესად შინაარსიანი თამაში.

ანგარიში 35-ე წუთზე გახსნა ბურჯანაძემ — 1:0. ზუსტად 10 წუთის შემდეგ გორელებმა საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღეს. რევაზიშვილმა მარცხენა ფრთიდან ბურთი კარის წინ „დაჭიდა“ და ბურჯანაძემ მეორედ დააწყებინა სტუმრებს თამაში ცენტრიდან.

არ გასულა დიდი დრო და წარმატებას ახლა სტუმრებმა მიაღწიეს. ბურთი „დილის“ კარში გაიტანა ბუდაგიანმა.

მეორე ნახევარი ასევე შეუპოვარი და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. დიდხანს ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ინიციატივის დაუფლება. 83-ე წუთზე მასპინძლებმა გონებამახვილური კომბინაცია გაითამაშეს და რევაზიშვილმა გავრილიდის მოწოდებიდან ბურთი „სპარტაკის“ კარის ბადეში მოათავსა — 3:1. ორიოდე წუთას შემდეგ უკვე სტუმრებმა წამოიწყეს შეტევა, რომელიც იმავე ბუდაგიანმა კარში ზუსტი დარტყმით დაგვირგვინა. 3:2 — ასეთი ანგარიშით მოიგო „დილამ“ ეს მეტად მწვავე მატჩი.

Გ. ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

„Ბ“ ᲙᲚᲐᲡᲘ IVᲯᲒᲣᲤᲘ

გაიმართა ფინალური ეტაპის მორიგი კალენდარული მატჩები.

I-X ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

● „კოლხეთი“ (ცხაკაია) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

თამაში ორმხრივი იერიშებით დაიწყო. ანგარიში მე-14 წუთზე ქობულეთელმა პალტაჩიდიმ გახსნა. შესვენების შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ და მეტოქის კარის აღების რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შექმნეს, მაგრამ მათი საბოლოო დარტყმები უზუსტო იყო და ანგარიშიც უცვლელი დარჩა.

● „განთიადი“ (ბორჯომი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:1. მსაჯი დ. ვაჩირიძე (თბილისი).

თავდაპირველად ინიციატივას ბორჯომელი ფეხბურთელები ფლობდნენ, შემდეგ კი თამაში გათანაბრდა. 26-ე წუთზე სტუმრებმა გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ დათიკაშვილი და აკოფიანი. ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმის შემდეგ ახალციხის „მესხეთი“ დაწინაურდა — 1:0.

მეორე ტაიმში ბორჯომელებმა მთლიანად დაიპყრეს მოედნის შუაგული და მწვავე იერიშები განახორციელეს, მაგრამ წარმატებას მხოლოდ 81-ე წუთზე ნიაღწიეს. საპასუხო გოლი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა საფაროვმა.

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:3. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

მატჩი საინტერესო, დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. მე-6 წუთზე წულუკიძელმა ახვლედიანმა ანგარიში გახსნა, რასაც ზესტაფონელთა საპასუხო შეტევა მოჰყვა და სხილაძის ზუსტი დარტყმის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა. 55-ე წუთზე ზესტაფონელმა ჩუბინიძემ დააწინაურა თავისი გუნდი, მაგრამ ცოტა ხნით: წულუკიძელი მანაგაძე სწრაფად შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე და ახლა უკვე მასპინძლებმა გაათანაბრეს ანგარიში. გადამწყვეტი გოლი შეხვედრის მიწურულში გაიტანა ზესტაფონელმა ჩუბინიძემ.

● „სინათლე“ (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

რესპუბლიკის ამ ორი მოწინავე გუნდის შეხვედრა გაიმართა სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს კეთილმოწყობილ სტადიონზე. სამწუხაროდ, ძლიერმა ქარმა ძალიან გაუნელა ამ მაღალტექნიკურ გუნდებს თამაში. თბილისელებმა, რომლებიც პირველ ტაიმში ქარის მიმართულებით თამაშობდნენ, კარგად გამოიყენეს დარტყმისთვის ცოტა თუ ბევრად გამოსადეგი მომენტები: კანდელაკმა და ჩიხრაძემ ორჯერ დააწყებინეს სტუმრებს ცენტრიდან თამაში.

მახარაძელებმა შესვენების შემდეგ ვერ გამოიყენეს ქარის „წყალობა“. უფრო მეტიც, — „სინათლის“ ფეხბურთელებს ორჯერ ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის საშუალება. აღსანიშნავია რუსთავის არბიტრთა ბრიგადის კარგი მსაჯობა.

XI-XXIV ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

● „ქართლი“ (გორი) — „ისანი“ (თბილისი) 2:2. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

მიუხედავად იმისა, რომ პირველ ნახევარში ინიციატივა მასპინძლების მხარეს იყო, მათ ვერ შეძლეს გოლის გატანა. 50-ე და 61-ე წუთებზე თბილისელმა მანუჩაროვმა ორჯერ შეარხია მასპინძლების კარის ბადე. ამის შემდეგ გორელებმა [illegible] — და თამაშის დამთავრებამდე ორი ბურთი გაქვითეს (ერთი [illegible] — [illegible] დაშვილი).

● „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 3:0. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

პირველი ტაიმი თანაბარი ბრძოლით აღინიშნა და უშედეგოდ დამთავრდა. შესვენების შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს მასპინძლებმა და მეტოქის კარში 3 ბურთი გაიტანეს.

I ᲯᲒᲣᲤᲘᲡ II ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲤᲘ

I ᲖᲝᲜᲐ

„ალაზანმშენი“ (თელავი) — „სამცხე“ (აწყური) 1:0, „ბასტრიონი“ (ახმეტა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:2, „არაგვი“ (მცხეთა) — „შირაქი“ (წითელწყარო) 3:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 0:5. ლაგოდეხელებთან სათამაშოდ წალკის „თრიალეთის“ გამოუცხადებლობის გამო, გამარჯვება „ჰერეთს“ მიეკუთვნა.

II ᲖᲝᲜᲐ

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:2, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ლაითური“ (მახარაძე) 2:2, „ცისკარა“ (ბათუმი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 1:0, „ზემო ქართლი“ (ხაშური) — „ცისარტყელა“ (თბილისი) 1:0. გალელებთან სათამაშოდ მაიაკოვსკის „საირმის“ გამოუცხადებლობის გამო, გამარჯვება „აეროს“ ჩაეთვალა.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 15 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	26	15	5	6	42—22	35
„უშბანი“ (კრასნოდარი)	25	11	9	5	28—13	31
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	25	9	13	3	36—23	31
„დინამო“ (კიროვაბადი)	26	9	13	4	24—13	31
„რუბინი“ (ყაზანი)	25	11	8	6	26—18	30
„დინამო“ (ბათუმი)	25	10	6	9	30—29	26
„თერგი“ (გროზნო)	26	8	10	8	21—25	26
„დაუგავა“ (რიგა)	24	9	7	8	35—25	25
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	25	9	7	9	28—28	25
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	25	7	11	7	31—33	25
„დინამო“ (სტავროპოლი)	26	8	8	10	21—24	24
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	26	8	8	10	20—28	24
„როსტსელმაში“ (როსტოვი)	25	6	10	9	25—31	22
„ბალტიკა“ (კალინინგრადი)	25	6	9	10	18—27	21
„სპარტაკი“ (გომელი)	25	5	11	9	12—23	21
„შირაკი“ (ლენინაკანი)	26	6	7	13	22—40	19
„დინამო“ (ტალინი)	25	4	6	15	16—34	14

● 5 ᲛᲐᲢᲩᲘ

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდების მორიგი კალენდარული მატჩები:

„რუბინი“ (ყაზანი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 3:0.

„სპარტაკი“ (გომელი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:1.

„დინამო“ (კიროვაბადი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 3:1.

„თერგი“ (გროზნო) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 1:1.

„დინამო“ (ტალინი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:3.

„Ბ“ ᲙᲚᲐᲡᲘ IIᲯᲒᲣᲤᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ლუგანსკში გამართულ ახალგაზრდა ფეხბურთელთა ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები. ქვეჯგუფში უკანასკნელი მატჩი მათ ჩაატარეს ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“. თბილისელ ფეხბურთელებს მატჩის ფრედ დამთავრებაც აწყობდათ, მაგრამ მათ მთელი შეხვედრის განმავლობაში ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ და შედეგმაც არ დააყოვნა — 1:0. ისინი ფინალში გავიდნენ.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

I ᲯᲒᲣᲤᲘᲡ II ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲤᲘ

I ᲖᲝᲜᲐ

მდგომარეობა 14 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დურუჯი“ (ყვარელი)	20	14	3	3	46—13	31
„ალაზანმშენი“ (თელავი)	18	12	2	4	31—22	26
„გარეჯი“ (საგარეჯო)	16	11	2	3	31—15	24
„მეტალურგი“ (რუსთავი)	19	8	5	6	31—28	21
„არაგვი“ (მცხეთა)	18	6	6	6	32—32	18
„ჰერეთი“ (ლაგოდეხი)	18	7	3	8	23—21	17
„ბასტრიონი“ (ახმეტა)	17	4	8	5	15—20	16
„შირაქი“ (წითელწყარო)	17	5	6	6	19—25	16
„სამცხე“ (აწყური)	16	4	7	5	21—27	15
„თრიალეთი“ (წალკა)	16	5	4	7	10—14	14
„არაგვი“ (დუშეთი)	19	1	3	15	19—52	5

II ᲖᲝᲜᲐ

„ლაითური“ (მახარაძე)	20	13	6	1	29—13	32
„აეროს“ (გალი)	20	12	7	1	37—15	31
„სამგურალი“ (წყალტუბო)	20	10	6	4	40—25	26
„კოლხიდა“ (ხობი)	20	9	5	6	35—21	23
„სულორი“ (ვანი)	19	8	7	4	25—18	23
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	20	8	6	6	25—32	22
„ზემო ქართლი“ (ხაშური)	20	8	5	7	38—27	21
„ცისარტყელა“ (თბილისი)	20	10	0	10	29—26	20
„ხაირმე“ (მაიაკოვსკი)	20	7	5	8	33—31	19
„ჩიხურა“ (საჩხერე)	21	7	5	9	32—34	19
„კოლხიდმშენი“ (ფოთი)	21	4	3	14	26—46	11
„მშენებელი“ (ჭიათურა)	20	4	1	15	22—54	9
„ცისკარა“ (ბათუმი)	21	2	2	17	11—40	6

ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 14 სექტემბერი (**ტელეფონით, ჩვენი კორ.**). „სპარტაკის“ საცურაო აუზში გრძელდება ჩვენი ქვეყნის პროფკავშირული გუნდების პირველობა წყალბურთში.

გუშინ, ასპარეზობის III ტურის შეხვედრებიდან, საინტერესოდ წარიმართა კაუნასის „ჟალგირისისა“ და ლენინგრადის „სპარტაკის“ მატჩი. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 7:6.

თბილისს „ბურევესტნიკმა“ სუსტად ითამაშა ლენინგრადის „ბალტიკის“ წინააღმდეგ და წააგო — 2:9. ეს ქართველი წყალბურთელების მეორე მარცხია.

სხვა შეხვედრების ტექნიკური შედეგები ასეთია: „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — „ბურევესტნიკი“ (მინსკი) 5:2, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (კიშინიოვი) 11:3, „შრომითი რეზერვები“ (მოსკოვი) — „ტრუდი“ (ლენინგრადი) 7:3, „ტრუდი“ (მოსკოვის ოლქი) — „ბურევესტნიკი“ (ერევანი) 14:4, „სპარტაკი“ (ასტრახანი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 7:2.

გამოვლინდნენ ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები. ესენი არიან: მოსკოვის „ტორპედო“, ლენინგრადის ორი გუნდი — „სპარტაკი“ და „ბალტიკა“ და მოსკოვის ოლქის „ტრუდი“, რომლებიც წრიული სისტემით გაიმართებენ უძლიერესის სახელს. თბილისის „ბურევესტნიკმა“ თავის ჯგუფში III ადგილი დაიკავა და ახლა IX-XII ადგილებისთვის იბრძოლებს.

დღეს წყალბურთელები ისვენებენ, ხოლო ხვალ ასპარეზობას განაგრძობენ.

Ო. ᲛᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔ.

თბილისში გამართული არმიელ მძლეოსანთა საკავშირო პირველობა. სურათზე: 20 კილომეტრზე სპორტული სიარულის მონაწილენი დისტანციაზე.

ფოტო ვ. გენგიურისა.

ჩვენი ნვლილი

აგვისტოს დამლევს სარ კავშირის ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი სტოკჰოლმს ჩავიდა სკანდინავიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ. ჩვენს გუნდში იყვნენ თბილისელი მოჭადრაკეებიც — ოსტატი ა. ბოკუჩავა, ოსტატობის კანდიდატები თ. გიორგაძე და ე. უბილავა. აი, რა უამბო ე. უბილავამ ჩვენს კორესპონდენტს;

ეს ჩემი და ჩემი მეგობრების პირველი საერთაშორისო მატჩი იყო უცხოეთში. შეჯიბრებას დიდი სერიოზულობით მოვეკიდეთ და კარგადაც მოვემზადეთ. ეს აუცილებელი იყო, ვინაიდან გუნდი მართლაც ნაკრებს წარმოადგენდა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, მინსკის, ალმა-ათის, აშხაბადის, ტალინისა და ტულის 15 მოჭადრაკე. ჩვენს შორის არც ერთი არ იყო 20 წლისაც კი, თუმცა 6 სპორტის ოსტატი გახლდათ.



სტოკჰოლმს 23 აგვისტოს გავემგზავრეთ. გუნდს თავკაცობდნენ დიდოსტატი ი. ავერბახი და მოსკოვის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, ოსტატი ი. ვაინერუკი. ამ მგზავრობიდან ყველაზე ნათლად დამამახსოვრდა სამი საათი ბალტიის ზღვაზე: საგანგებო ბორანზე რკინიგზის ორმოცამდე ვაგონი მოათავსეს და ისე გადაგვიყვანეს შვეციის მიწაზე.

მასპინძლები გულმხურვალედ შეგვხვდნენ. სკანდინავიის გუნდში იყვნენ ნორვეგიელი, შვეციელი, ფინელი და ისლანდიელი ჭაბუკი მოჭადრაკეები. სხვათა შორის, ბევრ მათგანს ოსტატის წოდება აქვს. ყველა დაგვაბინავეს სასტუმრო „კრესტენბერგში“, შუა სტოკჰოლმში.

გვაძ ალბათ, დაგღალათო და დასასვენებლად ორი დღე მოგვცეს. რა თქმა უნდა, სტოკჰოლმის დათვალიერებას დავეშურეთ. ეს უზარმაზარი ქალაქი ძალიან სუფთა და კოპწიაა. ქუჩები აჭრელებულია რეკლამებით, რომლებიც ღამით კიდევ უფრო ჭრიან თვალს.

ყოველ ნაბიჯზე ტურისტებს ვხვდებოდით. ადგილობრივ მკვიდრთაგან მათი გამორჩევა ძნელი არ იყო. იქაური ახალგაზრდა ქალები უმეტესად ფეხშიშველა დადიან ქუჩებში. აგვიხსნეს, ეს ამ ზაფხულის მოდაააო. ვნახეთ ბითლსებიც. ჩვენი თანატოლი თმამოშვებული ბიჭები.

გაზეთებში ბევრი რამ დაიწერა მატჩის შესახებ. ხალხმა იცოდა ჩვენი ჩასვლის ამბავი. ქუჩაში მოსეირნე საბჭოთა მოჭადრაკეებს ხშირად გვცნობდნენ და გვაჩერებდნენ.

როგორ შეგვეძლო ფეხბურთი არ გვეთამაშა?! ერთი სტადიონი მიგვიჩინეს... და ჭადრაკიდან თავისუფალ დროს მწვანე მინდორზე ვეჯიბრებოდით ერთიმეორეს.

27 აგვისტოს ერთ-ერთი ფირმის დიდ ჰოლში გაიხსნა ამხანაგური მატჩის I ტური. იმ დღეს 16 წელი შემისრულდა, მაგრამ არავისთვის არაფერი მითქვამს. მეგობრებს მაინც შეეტყოთ ეს ამბავი (ალბათ, ანკეტიდან) და, მოლოცვებთან ერთად გუნდის სახელით ძვირფასი საჩუქარიც გადმომცეს. არც მე მინდოდა ვალში დარჩენა, თუმცა ჩემი ბეტოქის ძალა არ ვიცოდი. ამასთან ერთი „შიშიც“ არ მასვენებდა: ჩვეულებრივ, თავიანთი დაბადების დღეს მოჭადრაკეები აგებენ ხოლმე. ეს ერთხელ მგონი კაპაბლანკასაც დაემართა

თავიანთ მეტოქეებს არც ჩემი კოლეგები იცნობდნენ. ამიტომ ყველა დიდი მონდომებით თამაშობდა. თამაზ გიორგაძე შეხვდა შვეციელ ტომპურის, ალეკო ბოკუჩავა — ისლანდიელ ალფდანარსონს, მე კი — ნორვეგიელ სტრანდს.

დიდ მონდომებას დიდი გამარჯვებაც მოჰყვა — 13:2. 3 ქულა გუნდს თბილისელებმა მოუტანეს.

აი, ჩემი პარტიაც:

სტრანდი — უბილავა

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ∂f3 ∂c6 3. d4 cd 4. ∂:d4 g6 5. c4 ♲g7 6. ♲e3 ∂f6 7. ∂c3 d6 (აქ ჩვეულებრივ 7. .... ∂g4-ს თამაშობენ პოზიციის გამარტივებით). 8. ♲e2 ♲d7 9. 0—0 ♳c8 10. f4 0—0 11. g4.

პოზიცია უკიდურესობამდე დაიმუტა. თეთრები პაიკს სწირავენ, მაგრამ ინიციატივას მაინც ვერ ეუფლებიან. ამიტომ ჯობდა 11. ∂b3.

11. ... ∂:g4 12. ♲:g4 ♲:d4 13. ♲:d4 ♲:g4 14. ♗:g4 ∂:d4 15. f5 ♳c5 16. ∂d5.

თეთრების იერიში მრისხანედ გამოიყურება, მაგრამ შავების განკარგულებაში არის კონტრთამაშის საკმაოდ მარჯვე შესაძლებლობა.

16. ... ♳:d5 17. ed ∂c2 18. fg hg 19. ♖h4 ∂:a1 20. ♳f3.

ნორვეგიელი ჩქარობს შავი მეფის დალაშქვრას და ხელს იღებს ფიგურის დაბრუნებაზე, მაგრამ მისი მეფის დია პოზიციის გამო მიზანს ვერ აღწევს.

20. ... ♖b6+ 21. ∂g♳1 ♗:b2 22. ♳h3 ♗g7 23. ♗:e7 ∂c2 24. ♗:d6 ♖d4 25. ♳g3 ∂e3+ თეთრები დანებდნენ.

გამარჯვებამ გაგვახალისა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მასპინძლებმა გვთხოვეს, მეტი ლმობიერება გამოიჩინეთო. თუ სიმართლე გნებავთ, დიდმა ანგარიშმა ბრძოლას ინტერესიც კი დაუკარგა. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ II ტური მოვიგეთ ანგარიშით — 10:5. გუნდმა 7 პარტიაში დაამარცხა მეტოქეები, 2 წააგო და 6 ყაიმით დაამთავრა. თამაზმა და ალეკომ კვლავ გაიმარჯვეს, მე კი ყაიმით დავამთავრე შეხვედრა.

23:7, — საუცხოო ანგარიშია და იგი ჩვენი ჭაბუკი მოჭადრაკეების დიდ შესაძლებლობაზე მეტყველებს. შესანიშნავად თამაშობდნენ თ. გიორგაძე და ა. ბოკუჩავა, რომელთაც გუნდს 4-დან 4 ქულა მისცეს.

სტოკჰოლმის პრესა აღნიშნავდა საბჭოთა მოჭადრაკეების ოსტატობას. ერთ გაზეთში ჩემი სურათიც დაიბეჭდა.

მატჩის დამთავრების შემდეგ მასპინძლებმა კიდევ ორი დღით დაგვტოვეს სტოკჰოლმში. ეს დრო ქალაქის ღირსშესანიშნაობათა გასაცნობად გამოვიყენეთ. დავთვალიერეთ მეფის მუზეუმი, სადაც განსაკუთრებით საინტერესო იყო უძველესი ხომალდების გამოფენა.

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდა და ფერენც ბენეს ინგლისის ბატალიებს ახლა სინთეტიკური ვილი ახსენებს. ეს სუვენირი უნგრეთის ნაკრების ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელს ფეხბურთის გულშემატკივრებმა აჩუქეს. ბენე ამ ძვირფას ძღვენს თვალისჩინივით უფრთხილდება და წვრთნის დროსაც კი არ იშორებს.

ფოტო მტი-საკდესისა.

„კოკ“ ჰოლანდიურად მზარეულს ნიშნავს. სწორედ ამიტომ, უტრეხტში მოცურავეთა ევროპულ პირველობაზე, დებმა კოკებმა თანამემამულეებისგან საბრძოლო დავალება მიიღეს: ისინი წარმატებით უნდა გამოსულიყვნენ თავიანთ სახეობაში და ამავე დროს ჰოლანდიის ნაკრების რაციონზე ეზრუნათ. სურათზე თქვენ ხედავთ ადა კოკს (მარცხნივ). ამჯერად მისი სპეციალობაა ... წვენი. მისი და — გრეტა კი კარტოფილის საჭამადის „დიდოსტატად“ ითვლება.

ფოტო ჟურნალ „სპორტოვეციასა“ (პოლონეთი).

ბრენობლის ამბები

1968 წლის თებერვალში საფრანგეთის ქალაქ გრენობლში საზეიმო ვითარებაში აღიმართება ზამთრის მორიგი ოლიმპიური თამაშების ალამი. ამჟამად აქ გაცხოველებული მუშაობაა მონაწილეთა, მრავალრიცხოვანი სტუმრებისა და ჟურნალისტების მიასაღებად. ფრანგული პრესის აზრით, ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქი უკვე მზადაა ასპარეზობისთვის. ასევე მიაჩნია მთავრობის კომისიას, რომელსაც ხელმძღვანელობს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟ. პომპიდუ. მაგრამ კომისია შეშფოთებას გამოთქვამს სტუმრების დაბინავების გამო, თამაშებზე 200.000 კაცის ჩამოსვლას ელიან და მათი დაბინავებისთვის საჭირო გახდება დამატებითი საცხოვრებელი შენობების აგება.

გრენობლში მუშაობა დაიწყო პრეს-ცენტრმა, იგი უკვე იღებს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ კორესპონდენტებს, რომლებსაც აინტერესებთ, თუ როგორ მიდის ოლიმპიადისთვის მზადება. ჩამოსულები ეცნობიან მომავალ შეჯიბრებათა სარბიელებს. მოსალოდნელია, რომ „თვთრ ოლიმპიადას“ ესტუმრება 2500-მდე ჟურნალისტი. მათთვის განკუთვნილია 4 დიდი შენობა. ერთ შენობაში საქმის წარმოება რუსულ ენაზე იქნება, მეორეში — გერმანულზე, მესამეში — ინგლისურზე, მეოთხეში — ფრანგულზე.

პრეს-ცენტრი ნახევარ კილომეტრითაა დაშორებული ოლიმპიურ სოფელს. როგორც სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ბ-ნი ლევიტანი ირწმუნება, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ გდრ-ის ჟურნალისტებმა მიიღონ საფრანგეთის მთავრობის ვიზები, რათა ისინი ოლიმპიურ თამაშებს შეუფერხებლად დაესწრონ.

ბუდაპეშტში ახლახან დამთავრებულ მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატისადმი მიძღვნილი უნგრული საფოსტო მარკები.

სტუმრების უპირატესობით

აშშ-ის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში

დამთავრდა აშშ-ის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატი. აქ წარმატება წილად ხვდათ არა მასპინძლებს, არამედ სტუმრებს. ერთეულთა შორის ნახევარფინალში გავიდნენ 3 ავსტრალიელი და ერთი ესპანელი. ძალზე საინტერესო იყო ფინალში გასვლისთვის ბრძოლა ავსტრალიელ ჯ. ნიუკომბსა და უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებულ ესპანელ მ. სანტანას შორის. გაიმარჯვა ავსტრალიელმა. მეორე ნახევარფინალში ფ. სტოლემ (ავსტრალია) დაამარცხა თავისი თანამემამულე რ. ემერსონი (3:0). ფინალისტთა შეხვედრა 2 საათი გაგრძელდა.

აშშ-ის ჩემპიონი გახდა სტოლე — 4:6, 12:10, 6:3, 6:4.

ქალთა შორის ამერიკის ჩემპიონი გახდა ბრაზილიელი მ. ბუენო. ფინალში მან მოუგო ნ. რიჩეის — 6:3, 6:1.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ხელმოწერა შეუზღუდავია და მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში.

ხელმოწერის ფასია: 1 თვით — 65 კაპ., 3 თვით — 1 მან. 95 კაპ., 6 თვით — 3 მან და 90 კაპ., 12 თვით — 7 მან. და 80 კაპ.

„ლელო“
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲖᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

გაზეთი გამოდის ყოველ-დღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3.95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3.93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 უე 12063